

ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში: ცნება და რეალობა

სოფიო სუდაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი:

ქეთევან გურჩიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო სუდაძე

თარიღი: 22/06/2018

აბსტრაქტი

კეთილდღეობა და ბედნიერება არის ის, რაზეც სახლმწიფომ უნდა იზრუნოს თავისი მოქალაქეებისთვის და ადამიანებმა საკუთარი თავისთვის. კვლევაში საუბარია იმაზე, თუ რამდენად პროდუქტიულები არიან ბედნიერი ადამიანები, როგორ აისახება ბედნიერების აღქმის თავისებურებაზე ინფორმაციის მიღების ის ფართომასშტაბიანი რესურსები, რომლებიც თანამედროვე ადამიანებს გააჩნიათ. როგორია ბავშვების, „წმინდა“ წარმოდგენა ბედნიერების შესახებ, როგორ იცვლება ეს დროთა განმავლობაში(ადამიანის ზრდასთან ერთად) და რა ახდენს გავლენას ამ წარმოდგენების შეცვლაზე.

ასევე, კვლევის მიზანს წარმოადგენდა ეჩვენებინა როგორია ბედნიერების აღქმა ბავშვებში და სტუდენტებში, რა როლს ასრულებს ამაში გლობალიზაცია. რა იციან კვლევის რესპოდენტებმა ცნება ბედნიერების შესახებ და როგორია მისი ლოკალური წარმოდგენა(როგორი არსებობს მისი გლობალური დეფინიცია და როგორია საქართველოში ბედნიერებას ინდივიდუალური გაგება).

კვლევისთვის გამოიკითხა დაწყებითი კლასის მოსწავლეები და ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ უნივერსიტეტის სტუდენტებთან. წარმოდგენილ კვლევაში განხილულია, რა როლი აქვს ბედნიერების გლობალურ გავლენას ადამიანის აღქმის ჩამოყალიბებაში. კვლევის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა წარმოდგენები ბედნიერების შესახებ განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.

სამიეზო სიტყვები: კეთილდღეობა, ბედნიერება, აღქმა, ბავშვები, სტუდენტები, კვლევა, ბედნიერება.

Abstract

Happiness and wellbeing are the issues that the state should take care of for the country and its citizens. Every person should care about his happiness. In the study, there is said what is the impact of happiness on human life and its productivity? The great information resources that people have today how reflects on the perception of happiness. What is the imagination of children about happiness and how it changes over time.

The aim of the study also was to show how the perception of the happiness in children and students. What is the happiness in general and what do the respondents know about this notion?

The presented study examines the role of happiness for human psycho-social development. Students of primary class were interviewed for the survey, and also conducted an in-depth interview with university students. The study contains different performances of happiness perception according to the age group.

According to the research, the inner state of respondents (happiness) is conditioned by their character, mood, thinking, and all this influences on the lives of each person.

According to a survey conducted in children and poll made by students, it can be said that the feeling of happiness is hard and difficult to achieve over time.

Search terms: wellbeing, happiness, perception, children, students, research, happiness

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან გურჩიანს, გაწეული დახმარებისთვისა და გვერდში დგომისთვის.

სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს, მათთან თანამშრომლობამ კვლევის შედეგებზე დადებითი გავლენა მოახდინა.

რესპოდენტებს, კვლევაში მონაწილეობისთვის და თავიანთი წვლილის შეტანისთვის.

ილიას უნივერსიტეტს, რომელმაც უზრუნველყო კვლევისათვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა.